



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### „თაბქირათ აღმულუქი“

„თაბქირათ აღ-მულუქი“ (სპარს. „ხელმწიფეთა სამახსოვრო“), კანონთა კრებული, შედგენილია დაახლ. 1725 (ირანში ავღანელთა ბატონობის დროს) ანონიმი ავტორის, სეფიანთა ერთ-ერთი მოხელის მიერ ავღანეთის ხელისუფალთა დავალებით. ავღანელებს არ ჰქონდათ სახელმწ. მართვა-გამგებლობის გამოცდილება, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ, დაყრდნობოდნენ სეფიანთა სახელმწიფოში მოქმედ კანონებს. „თ. აღ-მში“ მოცემულია სეფიანთა სახელმწ. კარის მოხელეთა, პროვ. გამგებელთა და დედაქალაქ ისპაანის მოხელეხელისუფალთა უფლებამოვალეობანი. მასში არის ცნობები „გურჯისტანის“ ვალის, ქართლის, კახეთის და თბილ. მმართველის, ისპაანის ტარულას (1618–1872 ქართველები იყვნენ), სასახლის ქართვე. ღოღამების ნაწილის დასაჭურისებისა და მათგან ყველაზე ღირსეული ხოჯების ასისტავად დანიშვნის შესახებ. „თ. აღმის“ მიხედვით კახეთი, როგორც ხარკის გადამხდელი, მიწერილია ყარაბაღის საბეგლარბეგობე.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., სპარსული დასტურლამალი, {თსუ შრომები}, 1949, 30B; მ ი ს ი ვ ე , ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958; კ უ ც ი ა კ., „თაბქირათ აღმულუქის“ ცნობები საქართველოს შესახებ, {ქართული წყაროთმცოდნეობა}, [ტ.] 3, თბ., 1973; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ნ., სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბ., 1990; T a d h k i r a t - a l - m u l u k . A manual of Safarid administration, persan text in facsimile with translation and comnentary by V.Minorsky, L. 1943.

დ. კაციტაძე

---